ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობის ფურცელი

№ 2030 პარასკევი, 3 იანვარი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2030

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

მიიღება ხელის მოწერა 1903 წლისათვის

ყოველ დღიურ გაზეთ

„ცნობის ფურცელ“-ზე

სურათებიანის დამატებით კვირაში ორჯელ

(წელიწადი მერვე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიასა და რუსეთში: 1 წლით—6 მ., 6 თვით—4 მ., 1 თვით—75 კ. ‖ საზღვარ-გარედ: 1 წლით—9 მ., 6 თვით—5 მ., 1 თვით—90 კ.

წლიურ ფასის განაწილება: ხელის-მოწერისათანავე 4 მან., დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალ

„მოამბე“-ზე

(წელიწადი მეათე)

ფასი ჟურნალისა

კავკასიასა და რუსეთში: 1 წლით—10 მ., 6 თვით—6 მ. 3 თვით—3 მ. ‖ საზღვარ-გარედ: 1 წლით—13 მ., 6 თვით—7 მ., 3 თვით—5 მ.

ვინც „მოამბეს“ მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატებანი და „ცნობის ფურცელი“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

წლიურ ფასის განაწილება: პირველად—6 მ. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ., 1-ლ აგვისტომდე დანარჩენი.

როგორც „ცნობის ფურცლის“, ისე „მოამბის“ ხელის-მომწერთ პრემიად გაეგზავნებათ

შოთა რუსთაველის

ახალი სურათი,

წიგნ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის საფოტოტიპიოში დამზადებული. სურათი ზომით 9×12 ვერშოკი იქმნება. ქალაქ გარედ ხელის მომწერთ 30 კაპეიკი უნდა წარმოუდგინონ რედაქციას სურათის გასაგზავნად. ეს სურათი ცალკე 1 მან. 50 კაპ. ღირება.

მომავალ წელს „მოამბე“-ში, სხვათა შორის, დაიბეჭდება რუსთა შესანიშნავ მწერლის ლ. ნ. ტოლსტოის რომანის „ვოინა ი მირ“-ის თარგმანი, „რომის ისტორია“ და სხვა.

რედაქცია და კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. ტელეფონი № 372.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели“.

საბედნიერ დღეოდ

იყიდება

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის

მაღაზიაში

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების“ ქვეშ)

ტელეფონი № 741

ტელეფონი № 741

შობის ხის სრული მორთულობა ცალკე ყუთებით თითო 4, 5, 6, 7, 8, 10 15 მანეთიანი. აგრეთვე მრავალგვარი საპირფარეშო სამკაული, თმის და თვალ-წარბის საღებავი, კოსმეტიკა პარფიუმერია (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები და სხვ. და სხვ. კეთილ სურნელოვანება)

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ Товарищество фармацевтовъ

ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ Фармацевтика. (10—9)

კახური ღვინოები

თელავისა და სიღნაღის მემამულეთა ამხანაგობისა

„დოვერიე“ (ნდობა)

მომავალ დღესასწაულებისათვის მსურველთ შეუძლიანთ იყიდონ ამხანაგობისაგან საუკეთესო კახური ღვინოები,

ბოთლი 20 კ.—ვედრო 3 მ. 20 კ. და უფრო მეტს ფასებში.

ნიკოლოზის ქ. სახლი მადათოვისა № 31. ტელეფონი №345. (11—9)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 39. (წო.)

ექიმი

დავით ალექსანდრეს ძე

ბედევანიშვილი

იღებს შინაგანი, ნერვების სნეულებით და სწამლობს ელექტრონით საღამოს 5—6 საათამდის.

[illegible] ქუჩა, სახლი მარტინოვსკისა, სა[illegible] კრუჟოკის პირდაპირ. (45—40)

ექიმი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. ყწნითის ქუჩა № 24 სახ. ფანჩაძისა. (წ).

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და ბავშვთა ავადმყოფებს დილის 11—12 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხისთან. ტელეფონი 642.

ორშაბათს, 6 იანვარს, 1903 წელს,

ტფილისის «კრუჟოკის» დარბაზში

გამართული იქნება

მეჯლისი (ბალი)

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ.

ბილეთის ფასი 2 მან. და 10 კ.

ქალთათვის გულ-ამოჭრილი კაბა სავალდებულო არ არის. სამხედრო კაცთათვის ჩვეულებრივი ტანისამოსი და დანარჩენთათვის ფრაკი და ნაციონალური ტანისამოსი.

დაიწყება საღამოს 10 საათზე.

ბილეთები იყიდება „კრუჟოკის“ შვეიცართან. (8—5)

სრულიად ახლად გადაკეთებული

„იუჟნიე ნომერა“

მოხდენილად, წმინდად და შესაფერისად მოწყობილ ოთახებით; მოსამსახურე ქალებითა და კაცებით; ყოველგვარად მოწყობილია საცხოვრებლად. ნომრების ფასი სამი აბაზიდან დაწყებული და უფრო ძვირად; თვიურად 15 მან. და მეტიც. ბარონის ქუჩა, ფოსტისა და ტელეგრაფის ახლო, ქალაქის შუაგულში. (6—2)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

ბედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

მ. ი. ჩიჩინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

მ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 9—10 საათამდე.

მ. მ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ქამოევი.—საშარდეს (ხირურგიული, ავადმყოფობისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

დ. ა. ბედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ხერგებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 კვირაობით 10—11.

ა. ზ. ბარხუძოვი—ქალთა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ზრ. მ. ხობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და გულ-მკერდის აგრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.) მასაჟი და სვედიში გიმნასტიკა“, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 6 ს.—8 საათ. საღამოს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანათიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში).

ტელეფონი № 274 (წ.)

ნაფიც ვექილის თანაშემწე

კონსტანტინე იოსების ძე

ჯაფარიძე

გადავიდა სუდებნი ქუჩაზე, გამაზოვის სახლში, № 56. (3—3)

ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა წინამძღოლი

აცხადებს თავად-აზნაურთა საყურადღებოდ, რომ ტფილისის გუბერნიის

თავად-აზნაურთა

მორიგი კრება

დაიწყება 1903 წლის 2 მაისს. (3—1)

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამა წლის ორ იანვარს, დილის 10 საათზე; გაიხსნება ავლაბარში, მეტეხის ქუჩაზე, გულისპოვის სახლში, ქალაქის ხორცის დუქნის განყოფილება. (1—1)

წარსული წელიწადი *)

როგორც წინა წერილშიაც აღვნიშნეთ, ჩვენის ქვეყნის ცხოვრება მჭიდროდ არის შეკავშირებული რუსეთის ცხოვრებასთან და ის მთავარი საგანი, რომელიც აინტერესებს მთელს რუსეთს და ახასიათებს დღევანდელ ისტორიულ მომენტს, ჩვენს ცხოვრებაშიაც შექმნილა მთავარ „ჟამთა სიავედ.“ როგორც იქ, ისე ჩვენშიაც ნელ-ნელა ირღვევა ძველი ეკონომიური საძირკველი და იცვლება ცხოვრების ყველა მხარე; როგორც იქ, ისე ჩვენში, კრიტიკულმა ხანამ შეავიწროვა უმრავლესობა და ეკონომიურ განვითარებისათვის და კრიზისის ადვილად გადატანისათვის საჭირო შეიქმნა საზოგადოებრივ ძალთა განვითარება, ამ ძალთა თვით-მოქმედების გაფართოვება.

ჩვენის დროის ეს მთავარი მოთხოვნა, როგორც ვსთქვით, ნათლად იქმნა აღიარებული რუსეთში დაარსებულს სასოფლო სამეურნეო საჭიროებათა კომიტეტებში და აგრეთვე რუსეთის პრესსაში. ჩვენში იგივე მოთხოვნა უფრო სუსტად და უფრო მკრთალად იყო აღნიშნული. ჩვენშიაც დაარსდა საგუბერნიო კომიტეტები, მაგრამ მათ ჯერ მუშაობაც არ დაუწყიათ თითქმის: ჰქონდათ მხოლოდ რამდენიმე სხდომა და ისინიც უფრო სამეურნეო სატეხნიკო საკითხებს მოახმარეს, ვიდრე საზოგადო საკითხებს. ჩვენში სამაზრო კომიტეტები არ დაარსებულა, ასე რომ საზოგადოებრივ ძალთა წარმომადგენლებს არ მიეცათ ისეთივე შემთხვევა თავიანთ სურვილების გამოთქმისა, როგორც შიდა რუსეთში. ჩვენში სამაზრო კომიტეტების მაგიერობა გასწიეს საგუბერნიო კომიტეტებმა, სექციებმა, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ და ზოგან მოხდენილ თავად-აზნაურობის კერძო კრებებმა. აი, ამათ სხდომებზე ცოტად თუ ბევრად საზოგადოების წარმომადგენლებსაც მიეცათ ღონისძიება სჯა-ბაასი ექონიათ სოფლის საჭიროებებზე. ამ სჯა-ბაასს, როგორც აღვნიშნეთ, ჩვენში არ ჰქონია ისეთივე გარკვეული და ფართო პროგრამა, როგორც შიდა რუსეთში, მაგრამ იმავე ტენდენციამ ჩვენშიაც იჩინა თავი, ეს იგი, მთავარ საგნად უნებლიედ გახდა საზოგადო საკითხი თვით-მოქმედების გაძლიერებისა და გაფართოვების შესახებ.

გარდა ამისა ამ კერძო კრებებზე და კომიტეტების სექციებშიაც აღძრულ იქმნა საკითხები ადგილ-მამულის სიმცირისა, სახალხო სწავლის დაქვეითებისა, გადასახადთა სიმძიმისა და სხვა საჭირ-ბოროტო საქმეების შესახებ. ამ საკითხებზედ არა ერთხელ ყოფილა ბაასი სხვა-და-სხვა ჩვენებურ საზოგადო დაწესებულებებში, არა ერთხელ აღძრულა შუამდგომლობანიც, მაგრამ ყველა მთავარ საკითხი გადაუწყვეტელი დარჩენილა დღემდის. შესაძლებელია, დღევანდელს სჯა-ბაასსაც ამგვარივე შედეგი მოჰყვეს, შესაძლებელია ბევრი მოლოდინი არ გამართლდეს და საქმე წვრიმალ ღონისძიებათა მიღებით დამთავრდეს. მაგრამ ეს იმდენად საყურადღებო არ არის, რამდენად საყურადღებოა ის გარემოება, რომ მთელს რუსეთში ცხადად იქმნა აღიარებული საზოგადო კრიტიკული მდგომარეობა და საერთოდ იქმნა გამოთქმული, რომ ამ გვარ მდგომარეობიდან თავის დახწევისათვის საკმარისი არ იქმნება ამა თუ იმ პალიატივის მიღება, არამედ საჭიროა ქვეყნის საზოგადოებრივ ძალთა თვით-მოქმედების გაძლიერება-განვითარება.

ჩვენში მრეწველობის საქმე გასულ წელსაც იმავე მდგომარეობაში იყო, როგორც წინა წელს: უმთავრეს სამრეწველო დარგებში—ნავთისა და მარგანეცისაში—ისევ კრიზისია; ფასები დაბალია, გატანა შემცირდა, ქარხნების რიცხვი შემცირდა და მუშათა მდგომა-

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2029,

რეობა არა სანუგეშო იყო. მიუხედავად ამისა, საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობამ ჩვენში მკვიდრად გაიდგა ფესვები და მთავარ ქალაქებში გაძლიერდა მუშათა რიცხვი. ამ გარემოებამ სწორედ შარშან გამოიწვია საყურადღებო ღონისძიება მთავრობისა: გასულ წლიდან ჩვენშიაც დაიწყო საფაბრიკო ინსპექციის მოქმედება. საინტერესოა მოტივები, რომელთა მიხედვით დაწესდა ჩვენში ეს ინსპექცია; მოტივები გამოცხადებული იყო ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურს ორგანოში და თავის დროზე ვრცლად იყო დაბეჭდილი ჩვენს გაზეთშიაც. მოკლედ რომ ვთქვათ, ფინანსთა სამინისტრო რეფორმის შემოღებას ასაბუთებდა: მუშათა და მექარხნეთა შორის ურთიერთობის მოუწესრიგებლობით, მუშათა სანიტარულის მდგომარეობის უვარგისობით, სამუშაო დროს მეტის-მეტ სიდიდითა და სხვა. გარდა ამ ღონისძიებისა აღსანიშნავია მთავრობის განკარგულება, აგრეთვე შარშან გამოცემული, რომლით სხვა და სხვა ახალი წესი გამოიცა სამთამადნო მუშათა მუშაობის დროს უბედურ შემთხვევათაგან უზრუნველყოფობისათვის...

ჩვენებურ ქალაქის თვითმართველობათა ცხოვრება აღინიშნება გასულ წელს ახალ საბჭოების არჩევით. აირჩიეს ხმოსნები ტფილისს, ქუთაისს, ბათუმს, ფოთს და კავკასიის სხვა ქალაქებშიაც. ქუთაისსა და ფოთს, რასაკვირველია, საბჭო ქართველთაგან შესდგება; ტფილისში შარშანდელს არჩევნებს არ მოჰყოლია წინანდებურად ერთა შორის ბრძოლა და საბჭოში 15 ქართველი ხმოსანი შევიდა; გამწვავებული ბრძოლა მოხდა ბათუმში, სადაც, სამწუხაროდ, ქართველთა შორისაც მოხდა განხეთქილება და ამიტომ ქართველ ხმოსანთა რიცხვიც შემცირდა წინანდელ საბჭოებთან შედარებით. თვითმართველობათა შარშანდელ მოღვაწეობიდან მაინცა და მაინც ღირსშესანიშნავს ვერაფერს აღვნიშნავთ: ფოთი აშენებს ნავთსადგურს, ქუთაისი—წყლისაყვანს, ბათუმმა გაიჩინა ახალი საავადმყოფო, ტფილისმა ერთი ნაბიჯი წასდგა წინ სხვა და სხვა საქმეთა მუნიციპალიზაციის საქმეში. საზოგადოთ კი ჩვენი საქალაქო მმართველობანი უფერულად მოღვაწეობენ, რაც უმთავრესად იმით უნდა აეხსნათ, რომ ხალხის უმრავლესობას წარმომადგენლობა არა აქვს თვითმართველობაში და, მეორეს მხრით, თვითმართველობის სამოქმედო ასპარეზიც შეზღუდულია.

ჩვენებურ საზოგადო დაწესებულებათა ცხოვრებაში უნდა აღვნიშნოთ იგივე ტენდენცია, რომელიც შარშან არა ერთხელ დავვისაბელებია: ჩვენებურ დაწესებულებათა სვე-ბედით დაინტერესდა ხალხი, უმრავლესობა, და ეს საიმედო მომავალს უქადის მათ.

საზოგადოთ, ჩვენ საეროვნო საქმეებშიაც იმავე ტენდენციას ვხედავთ: ახალს დროში ეროვნულის თვითცნობიერების პრინციპი დემოკრატდება და ამით ახალ ძალასა და სიმტკიცეს ჰპოულობს.

საკანონმდებლო მოქმედება 1902 წელს

(დასასრული *)

1903 წლის 1-ლ იანვრიდან ძალაში შედის ვექსილების ახალი წესდება. გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს მოკლეთ ამ წესდების შინაარსს ძველს წესდებასთან შედარებით. ახალის წესდების პროექტი მზადდებოდა 1847 წლიდან. მიუხედავად ამისა განსხვავება ძველის წესდებისაგან მაგრე რიგად თვალსაჩინო არ არის. ვექსილი თავისის დანიშნულებით და ბუნებრივის თვისებებით სავაჭრო ინსტიტუტია. აქედან წარმოსდგება იმისი თავისუფალი მოძრაობა და სიმკაცრე. მიუხედავად ამისა, როგორც ძველის წესდებით, აგრეთვე ახალით, ვექსილი გადაქცეულა სესხის გამომხატველ საერთო სამოქალაქო იარაღად. ვექსილის განსაკუთრებულს თვისებას, რომელიც ისტორიულად განვითარდა და დამყარდა ვაჭართა შორის, შეადგენს მისი განცალკევება, განკერძოვება იმ იურიდიულ დამოკიდებულებისაგან, რომელიც საფუძვლად ედება თვით ვექსილს, როგორც ვ ლის დამამტკიცებელს დოკუმენტს. მრავალ გვარი ვაჭრული და არა ვაჭრული დამოკიდებულება ჰბადავს მოვალეობას ერთის პირისას მეორის წინაშე, მოვალეობას, რომელიც უნდა შესრულდეს დანიშნულს ვადაზე განსაზღვრულის ფულის ჩაბარებით. ასეთს მოვალეობას შესაძლოა საფუძვლად ჰქონდეს სესხი, სყიდვა-გაყიდვა, გაქირავება, ჩუქება და სხვა. ყველა ეს და მრავალი სხვა იურიდიული დამოკიდებულება ჰბადავს ერთსა და იმავე მოვალეობას, რომელიც შეიძლება გავაცალკევოთ თავის საფუძველს, განვიხილოთ, როგორც მოვალეობა... აი, ასეთი განცალკევებული მოვალეობაა ვექსილის შინაარსი. თუმცა ვექსილი, როგორც ვსთქვით, ვაჭართა შორის არის დაბადებული და ყველაზე მეტად იმათთვის აქვს იმას მნიშვნელობა, მაგრამ არავითარი საფუძველი არ მოიპოვება აეკრძალოთ არა ვაჭართ ვექსილის ხმარება. ასე უყურებდა საქმეს ძველი წესდება და ასევე ჰსჯის ახალიც, იმ უცნაურის და უსაფუძვლო განსხვავებით, რომ სამღვდელო პირებს, გლეხებს და ქალებს კანონი არ აძლევს ნებას ვექსილით დავალიანებული იყოს. რუსეთის იურისტებს სრული იმედი ჰქონდათ, რომ ახალი კანონი ამ მხრივ ყველას თანასწორ უფლებას მიანიჭებდა, მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა, ისევ წინანდელი წესი დარჩა. რადგანაც ვექსილი, როგორც დოკუმენტი, განცალკევებულის მოვალეობის გამომხატავია, ამიტომ ვექსილის ტექსტში არ შეიძლება შეტანილ იქმნას ისეთი პირობა, რომელიც საეჭვოდ ხდის მოვალეობას; არ შეიძლება აგრეთვე მოხსენებულ იყოს იქ პროცენტები და ჯარიმა. ძველის წესდებით ვექსილის ტექსტში აუცილებლივ ნათქვამი უნდა ყოფილიყო: „მოვალე ვარ მივცე მავანს ან ვისაც ის მიმიჩენებს, ამდენი და ამდენი, რომელიც სრულად მივიღე ფულად ან საქონლით". ახალის წესდებით აღარ არის საჭირო სიტყვები: „ან ვისაც ის მიმიჩენებს" და „რომელიც სრულად მივიღე ფულად ან ვექსილითო". ამ მხრივ ვექსილი ახალმა წესდებამ გარეგნობით გაამარტივა, შეამოკლა ფორმალიზმი, რადგანაც თავის თავადაც ცხადია, რომ მოვალეს ვექსილის ჯამი ასე თუ ისე მიღებული ექნება და ფულიც იმას უნდა ჩააბაროს, ვინც ვექსილს წარუდგენს. ახალის წესდების ნაკლულევანებად არ შეიძლება არ ჩაითვალოს მოთხოვნა, რომ ვექსილი უთუოდ გერბიან ქაღალდზე დაიწეროს, მით უმეტეს, რომ გაათკეცებული ჯარიმა საგერბო გადასახადის დარღვევისთვის საკმარისად უზრუნველ ჰყოფს სახელმწიფო ხაზინის ინტერესს.

ვექსილი ძალაში შედის იმ დროს, როდესაც ის ვექსილის პატრონს გადაეცემა. მხოლოდ ტექსტის დაწერა და ხელის მოწერა კიდევ არაფერს არ ჰნიშნავს, საჭიროა რომ ვექსილი გადაცემული იყოს; ახალის წესდებით, ვექსილი გადაცემულად ითვლება, თუ კი ის იმას უჭირავს ხელში, ვინც იმის პატრონია, ან როგორც პირველი, ან როგორც შემდეგი შემძენელი. ვექსილის ხელის მომწერელს უფლება აქვს დაამტკიცოს, რომ ვექსილი უკანონოდ გადავიდა პატრონის ხელში, მაგრამ ამ დამტკიცებას მხოლოდ მაშინ ექმნება მნიშვნელობა, თუ ვექსილის ხელის-მომწერლის და ვექსილის ხელში მჭერის ურთიერთობას შეეხება. თუ, მაგალითად, ერთმა პირმა უკანონოდ ჩაიგდო ხელში ვექსილი და მეორეს გადასცა, უკანასკნელი კანონიერ პატრონად ითვლება, ვიდრე არ დამტკიცდება, რომ იმან იცოდა პირველი პატრონის მიერ ვექსილის უკანონოდ შეძენა. საერთო სამოქალაქო წესების პრინციპით არავის არ შეუძლიან გადასცეს სხვას იმაზე მეტი უფლება, რაც თითონა აქვს; ვექსილის წესდებით კი ეს შესაძლებელია. კანონი აქ თითქოს მხარს უჭერს ისეთს ადამიანს, რომელსაც სხვის დაჩაგვრა უნდა თავის სასარგებლოდ; ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ კანონმა უზრუნველ უნდა ჰყოს ვექსილის მეორედ შემდგენი შემძენელნი, რადგანაც უამისოდ ვექსილი თავის დანიშნულებას ვერ შეასრულებს, თავისუფლად ვერ გადავა ხელიდან ხელში. თვალ-საჩინო ცვლილება შეიტანა ახალმა წესდებამ ვექსილების პროტესტის წეს-რიგში. თუ ვექსილის გამცემმა დროზე არ გადაიხადა ფული, ვექსილის ხელში მჭერელს უფლება აქვს გაწუცხადოს ნოტარიუსს, რომელიც ამის გამო შეადგენს პროტესტს. პროტესტი—ნიშანია უკმაყოფილებისა ვალის დროზე გადაუხდელობის გამო. ძველის წესებით, ვექსილის უპროტესტოდ დატოვება ვექსილს ჩვეულებრივ სამოქალაქო მოვალეობად გადაჰქმნიდა. ახალის კანონით, ვექსილი ისევ ვექსილად რჩება, მხოლოდ ვექსილის ძალა მარტო-ოდე პირველის ხელის-მომწერელის წინააღმდეგლა რჩება. დანარჩენი ხელის-მომწერნი, ე. ი. ის პირნი, რომელთა ხელშიაც გავლო ვექსილმა, სრულიად თავისუფლდებიან და იმათგან ვექსილის პატრონი დაკმაყოფილებას ვეღარ მოითხოვს. პროტესტს ახალის წესდებით ის მნიშვნელობა აქვს, რომ პროტესტის შემდეგ ვექსილის ხელში მჭერელს უფლება აქვს ფულის გადახდა მოსთხოვოს ყველა იმას, ვისაც კი ვექსილზე ხელი უწერია; ამასთან, წინააღმდეგ ძველის წესისა, თავის არჩევანით იმ ხელის-მომწერელს მიჰმართავს, ვისაც მოისურვებს. ახალია აგრეთვე გაუქმება ეგრედ წოდებულის გრაციის დღეებისა; ვადა ვექსილისა სწორედ იმ დღეს სრულდება, რომელიც ნაჩვენებია თვით ვექსილში, წინად კი ამის შემდეგ კიდევ ათის დღით გრძელდებოდა ვადა. სასამართლოში წარდგენა ვექსილისა ახალის კანონით შეიძლება მხოლოდ ხუთის წლის განმავლობაში ვადის შესრულების შემდეგ, ხოლო წინააღმდეგ მეორე და შემდეგ ხელის მომწერთა წინააღმდეგ ვექსილის წარდგენა სასამართლოში შეიძლება ერთის წლის განმავლობაში; ეს ვადა ითვლება პროტესტის დღიდან. თუ მეორე ან შემდეგმა ხელის მომწერელმა გადაიხადა ვალი, იმას უფლება აქვს ვექსილი სასამართლოში წარადგინოს სხვა ხელის მომწერთა წინააღმდეგ ექვსის თვის განმავლობაში; ეს ვადა ითვლება იმ დღიდან, როდესაც ვალი გადაიხადა თითონ.

ახალის წესდების მოსაწონს მხარეს შეადგენს სხვა-და-სხვა ვადის ანგარიშების სრული განსაზღვრულება და აგრეთვე გამორკვევა თავდების და შუამავლის მნიშვნელობისა.

—

გასულის წლის საკანონმდებლო მოქმედებაში აღსანიშნავია აგრეთვე ახალი კანონი, რომელიც განსაზღვრავს სხვა-და-სხვა მოძრავ ნივთების სყიდვა-გაყიდვას სასყიდლის ნაწილ-ნაწილად გადახდით. ამ კანონის შესახებ ვიტყვით მხოლოდ, რომ იგი გამოწვეულია ცხოვრების მოწიფული მოთხოვნით და იმ მიზნისკენ არის მიმართული, რომ ხელმოკლე ადამიანს გაუადვილოს ძვირფასი ნივთების შეძენა. არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ იურიდიული კონსტრუქცია ამ ახალის ინსტიტუტისა არ არის სრული და უნაკლულო.

—

დიდი საზოგადოებრივი და ადმინისტრატიული მნიშვნელობა აქვს 12 ივლისის კანონს, რომლის ძალითაც უნდა გამოიცეს შემდეგისთვის კრებული სენატის საადმინისტრაციო დეპარტამენტების დადგენილებათა. აქამდე მხოლოდ სამოსამართლო დეპარტამენტების გადაწყვეტილებანი იბეჭდებოდნენ, თუმცა საადმინისტრაციო დადგენილებებს, თუ მეტი არა, ნაკლები მნიშვნელობა და ღირსება არა აქვთ. სამწუხაროდ, დაისტამბება და გამოქვეყნდება მხოლოდ ის დადგენილებანი, რომელთა გაცხადებას საჭიროდ დაინახავს შინაგან საქმეთა მინისტრი და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამისი წინააღმდეგი არ იქნება ის მინისტრი, რომლის უწყებასთანაც ექნება კავშირი შინაარსით გასაცხადებელს დადგენილებას.

X.

საზღვარ-გარედ

—

საფრანგეთი. საფრანგეთის სენატის არჩევნები დემოკრატიის გამარჯვებით გათავდა, რაც ფრიად სასიამოვნო მოვლენად მიაჩნია ყველა გულწრფელ მომხრეს დემოკრატიულ რესპუბლიკისას. ერთი გაზეთი სწერს: „რა ფორმითაც და რა პირობებშიაც არ მიჰმართეს ხალხს ამ უკანასკნელ დროს, იგი ყოველთვის ერთსა და იმავე პასუხს იძლეოდა. დემოკრატიული სულია ყველგან და იმარჯვებს ყველა შემაფერხებელ გარემოებაზე, რომელიც წინ ხვდება ნამდვილ რესპუბლიკელების უმრავლესობას". „პტიტ რეპუბლიკ"-ი (მუშების გაზეთია) ამბობს, რომ რადიკალებისა და სოციალისტების არჩევით ხალხმა ცხადად გამოსთქვა სურვილი, რომ მას დემოკრატიული რეფორმები სურს, განსაკუთრებით სამხედრო ბეგარის ვადის შემცირება, რასაც უთუოდ უნდა მოჰყვეს შემოსავლის შესაფერი გადასახადი, მუშების საპენსიო კასის დაარსება და სხვა. „ლანტერნის" აზრით, სენატის არჩევნები დიდი დამარცხებაა რეაქციისა, რომელსაც წაერთვა უკანასკნელი იმედი რესპუბლიკურ იდეის გაძლიერების შეჩერებისა. მართლაც მეტად დამახასიათებელია სენატის უკანასკნელი არჩევნები. მკითხველს ეცოდინება, რომ სენატმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია ამას წინად ბურჟუას რადიკალურ სამინისტროს და გადააყენა კიდეც იგი. სენატი საზოგადოდ, რეაქციონერებისა და ზომიერ რესპუბლიკელების სიმაგრე იყო. ეხლა კი იგი, ეხლანდელ პალატისა არ იყოს, უფრო და უფრო ივსება დემოკრატიულ ელემენტებით. საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრების ეხლანდელ ტენდენციისა და მიმართულების დასახასიათებლად საკმარისია ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ სენატორების არჩევის დროს გააშავეს ისეთი ზომიერი რესპუბლიკელები, როგორც სამბო და ჰანოტოა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჰანოტოს გაშავება. ჰანოტო დიდ ხანს იყო საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრად; იგი მეტად გავლენიან პირად და რუს-ფრანგთა კავშირის ბურჯად ითვლება. მიუხედავად ამისა ან, უკეთ რომ ვსთქვათ, სწორედ იმისათვის, რომ ჰანოტო მეტად ზომიერი რესპუბლიკელია და უკიდურესი მომხრე მოკავშირის პოლიტიკის მორჩილებისა, იგი გააშავეს.

გერმანია. შედარებით სამაგალითოდ მოწყობილია გერმანიის სახალხო სკოლა.

რამდენიმე წლის წინად ერთი გერმანელი მასწავლებელი სწერდა: „როდის დადგება ის დრო, როცა სინამდვილე გახდება ლორდ ბრუგამის სიტყვა—ან-ბანმა უნდა აჯობოს ჯარის კაცის ხიშტსაო? როდის მივაღწევთ იმ დროს, როცა სამხედრო მინისტრი თავის ადგილს სახალხო განათლების მინისტრს დაუთმობს? ეროვნულ ცხოვრების მძიმე და გაჭირვებულ მომენტების დროს ჩვეულებრივ სახალხო სკოლის მასწავლებელს მიჰმართავენ; მაგრამ გაივლის თუ არა ასეთი მომენტი, ავიწყდებათ, რომ ქვეყნის ძალ-ღონე ხალხის განათლებაა."?

გერმანიის სამხედრო მინისტრს პირველი ადგილი არ დაუთმია ჯერ სახალხო განათლების მინისტრისათვის, მაგრამ სახალხო სკოლის მდგომარეობა შესამჩნევად გაუმჯობესდა. პრუსიაში სახალხო სკოლის ბიუჯეტი უდრის ეხლა 125 მილიონ მანეთს, მაშინ როდესაც რუსეთის იმპერია, სადაც ოთხჯერ თუ ხუთჯერ მეტი მცხოვრებლებია, მხოლოდ 35 მილიონამდე ხარჯავს ამავე საგანზე; უნდა ხარჯავდეს კი, პრუსიასთან შედარებით, 500 მილიონ მანეთს. ქალაქის სკოლის მასწავლებელს ბევრგან უკვე მოუმატეს ჯამაგირი: ახალი მასწავლებელი იღებს 1200 მანეთამდე და უფრო ძველი 1400-მდე. გარდა ამისა, ყველა მასწავლებლებისათვის არსებობს საპენსიო კასა, რომელიც უზრუნველ ჰყოფს მასწავლებლის ოჯახს. სახალხო სკოლის პროგრამა ბერლინში, დრეზდენში, ლეიფციგში იმდენად სრულია, რომ შიგ შედის უცხოელ ენების შესწავლა და ისტორიის, გეოგრაფიის, კანონ-მდებლობის ვრცელი კურსები. სკოლის კურსი საზოგადოთ რვა წელია და მისი პროგრამა უდრის რეალურ პროგიმნაზიის პროგრამას. სასკოლო სახლები სასახლეებად ეჩვენება ჩვენებურ მოსწავლეს. დიდ-ძალი ფული იხარჯება დამატებითი და საპროფესიონალო კლასებისათვის, რომელნიც თითქმის მთელ გერმანიაში სავალდებულოა ყოველ გერმანელ ახალგაზრდისათვის, რომელიც 18 წელს არ გადასცილებია.

და მიუხედავათ ყველა ამისა, გერმანელი უკმაყოფილოა თავის სკოლის ეხლანდელ მდგომარეობით: ჯერ კიდევ ბევრი გვაკლია, ჯერ კიდევ დიდი ნაკლი აქვს ჩვენს სკოლასო.

ახალი ამბავი

—

◆ როგორც შევიტყვეთ, ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაციას უკვე **დაუმტკიცებია ბათუმის საბჭოს ხმოსანთა არჩევნები.** ადმინისტრაციას მხოლოდ სამი კაცი არ დაუმტკიცებია ხმოსნად. ერთი აქედან რუსია და ორი კიდევ სომეხი.

◆ მოსკოვის უნივერსიტეტთან შესდგა **„ბუნებისმეტყველთა საზოგადოება"**, რამდენიმე სექციად გაყოფილი. ერთ სექციაში, რომელსაც აზრად აღმოსავლეთის შესწავლა აქვს, თავმჯდომარის ამხანაგად ამორჩეულია ა. ხახანაშვილი. ამ სექციაში ორი

---

*) იხ. „ცნ. ფურც." № 2029.

ქართველი სტუდენტი მალე წაიკითხავენ ბ-ნ ხახანაშვილის მიერ მიცემულ ტემაზე რეფერატებს—გიორგი წერილისა და აკაკი წერეთლის მოღვაწეობა.

◆ საგუბერნიო ექიმს ბ-ნ ქიქოძეს დაუსრულებია ის მოხსენება, რომლის შედგენა საექიმო ნაწილის სამმართველომ დაავალა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების თხოვნით, **ჩვენი ხალხის ჯან-მრთელობის გაუმჯობესების** შესახებ. სხვათა შორის, ბ-ნი ქიქოძე ამბობს, რომ ექიმობით მხოლოდ მეხუთედი ნაწილი ხალხისა ჰსარგებლობს და იმაზე მიაქცევს ყურადღებას, რომ ტფილისის გუბერნიაში უფრო გავრცელებულია ციებ-ცხელება (მალარია), რომელიც ჯანს ულევს ხალხს, შრომის უნარს უკარგავს და მისს ეკონომიურ მდგომარეობას ამით ძლიერ აფერხებს და აქვეითებსო. ბ-ნი ქიქოძე იმ აზრისაა, ხალხში სურვილი აღვძრათ საკუთარის საავადმყოფოების დაარსებისა და საზოგადოთ ჯანმრთელობის მზრუნველობისათ. ტფილისის გუბერნიის მცხოვრებთ ცხადად დაამტკიცეს, რომ, თუ საქმეს რიგიანად ჩააგონებენ ხალხს, ხალხი ადვილად შეიგნებს საჭიროებას და ხელსაც მოჰკიდებს საჭიროების დაკმაყოფილებასაო. ამ გზით ტფილისის გუბერნიაში დღეს 8 საავადმყოფოა დაარსებული სოფლის საზოგადოებათა ხარჯით.

ბ-ნ ქიქოძის ანგარიშით თითო საავადმყოფო ოთხას თუმანზე მეტი არ დაჯდება; თითო სულზე, საშუალო რიცხვით, ათი შაური მოვა გადასახდელი, სამაგიეროდ მუქთი ექიმი და წამალი ექმნება ხალხსა. ამისათვის საჭიროა ჩვენს ხალხში გავრცელდეს ამ საჭიროების დაკმაყოფილების აზრიო.

◆ როგორც გვატყობინებენ, **ქართული საღამო ბათუმში** „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ ადგილობრივ სკოლის სასარგებლოდ გაიმართება ნინოობა დღეს, 14 იანვარს. საღამოს ჰმართავს და დიასახლისად იქმნება ბათუმის ქალაქის მოურავის მეუღლე კნეინა ლ. ნ. ანდრონიკაშვილისა.

◆ **უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოება** 12 იანვარს საღამოს გაჰმართავს „კრუჟოკ“-ის დარბაზში. სხვათა შორის, უნივერსიტეტებში სწავლა-დამთავრებულთაგან მომღერალთა გუნდი უნდათ შეადგინონ და ამ საღამოს იმღერონ. დღეს, დილის 11 საათზე, ქალთა 1-ლ გიმნაზიაში შეიკრიბებიან სიმღერის მოყვარულნი და პირველი ვარჯიშობა ექმნებათ. ვინც ამ გუნდში მონაწილეობის მიღებას მოისურვებს, შეუძლია ამ გიმნაზიაში მივიდეს (ბარონის ქუჩიდან) და თავისი სურვილი გამოაცხადოს.

◆ გუშინ ტფილისის გუბერნატორმა მისწერა ქალაქის მოურავის მოადგილეს, პირველ სხდომაზედვე მოახსენეთ საბჭოს, რომ **სანიტარნო ხელის გამგე კომიტეტი მოსპობილ** იქმნას და ამ საქმის შესახებ საბჭოს დადგენილება დაუყოვნებლივ წარმომიდგინეთო.

◆ გუშინ ავლაბარში აკურთხეს ქალაქის **მეორე დუქანი ხორცით ვაჭრობისა.** დუქანი მოათავსეს მეტეხის ქუჩაზე, გულასპოვის სახლში.

◆ 1-ლ იანვარს, ნაშუალამევის 4 საათზე, დიდის ვანქის ქუჩასა და რუსის ქუჩის კუთხეში **ცეცხლი გაჩნდა**, რომელმაც იმსხვერპლა ტფილისის სომეხ-გრიგორიანთა სასულიერო სემინარიის შენობა, სადაც 20 დუქნამდე იყო მოთავსებული. დაიწვა ყველაფერი, რაც კი ამ დუქნებში იყო. ცეცხლი გაჩენილა მნაცაკანოვის სამღებრო დუქანში, საიდანაც იგი მიწრაფულ მოსდებია მეზობელ დუქნებს. ცეცხლის მქრობელი რაზმი გვიან მოვიდა ცეცხლის ჩასაქრობად და ორი-სამის საათის ბრძოლის შემდეგ, როგორც იქმნა, ჩააქრო. ზარალი მედუქნეებსა და სემინარიას დიდი მოუვიდათ. სახლი დაზღვეული ყოფილა ტფილისის ქალაქის დამზღვევ საზოგადოებაში 7,000 მანეთად. ცეცხლის გაჩენის მიზეზი ჯერ არ იციან.

◆ 8 იანვრისათვის დანიშნულია შეერთებული სხდომა ქალაქის გამგეობისა, სასწავლებელთა გამგე კომისიისა და ხმოსან იურისტებისა. სხდომამ უნდა მოისმინოს და განიხილოს იურისტების მოსაზრება იმის შესახებ, რამდენად კანონიერია ის, რომ **სასწავლებელთა კომიტეტი** კომისიად იქნეს გადაკეთებული.

◆ **სავაჟო სავაჭრო 1 ლმა სკოლამ** „შობის ხე“ გაუმართა თავის მოსწავლეთ ვაჟთა მე 3 გიმნაზიის სადგომში. ამ საღამოს 150-ზე მეტმა მოსწავლემ შეიყარა თავი—დიდმა და პატარამ. მეტად სასიამოვნოდ ჩაატარა სიმღერა მოსწავლეთაგან შემდგარმა მომღერალთა გუნდმა ბ-ნ ცხომელიძის ლოტბარობით. სალიტერატურო ნაწილში 8 მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა და ჩინებულადაც წაიკითხეს ნეკრასოვის ლექსები რუსულად.

ამ საკვირაო სკოლას განაგებს ვაჟთა მე-3 გიმნაზიის მასწავლებელი ივ. ი. პლამენევსკი, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო საქმის განვითარებას იმით, რომ ამ საქმეზე წაახალისა ბევრი მასწავლებელი ქალი და ვაჟი. ეს სკოლა განსაკუთრებით ქალაქის შესაწევარით არსებობს—30 თუმანს აძლევს ქალაქი ყოველ-წლივ.

◆ გუშინ ტფილისის **ქალაქის გამგეობაში ტირაჟი იყო** ქალაქის 1-ლ საობლიგაციო სესხის ქაღალდებისა. დაესწრნენ ვაჭართა, ხელოსანთა და მუშანთა მამასახლისები. ტირაჟში გამოვიდა 21.800 მანეთის ობლიგაცია.

◆ ახალი **გაადვილებული წესები** ქალაქის გამგეობის ბუხჰალტერიის განყოფილებაში გუშინვე შემოიღეს. ამ წესით გაცილებით უფრო ჩქარა აძლევენ ცნობებს. ნაშუადღევის 1-ლ საათამდე გუშინ გაუსტუმრებიათ 80-მდე კაცი.

◆ ბ-ნ შახტახტინსკის გაზეთი აძერბეიჯანურ ენაზე 8 მარტიდან დაიწყებს გამოსვლას. გამომცემელს ასე იმიტომ განუზრახავს გაზეთის გამოცემა, რომ ამ დღეს ახალი წელიწადი ექნებათ მაჰმადიანებს.

◆ შუხუთის ორ-კლასიანი სკოლის მასწავლებელი ირაკლი აფხაზავა გვთხოვს დავბეჭდოთ: თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადეს მადლობას ვუცხადებ ქალაქ ქუთაისში დროებითი მცხოვრებს ილარიონ ტალაკვაძეს, რომელმაც კეთილ ინება და შეჰკრიბა ამხანაგებ შორის ათი მანეთი და შვიდი შაური შუხუთის ორკლასიან სასწავლებლის სასარგებლოდ.

◆ 28 დეკემბერს, ვიღაც ქურდებმა გასტეხეს პუშკინის ქუჩაზე კუზანოვის დუქანა და გაიტანეს ფული და ნივთები. 30 დეკემბერს დაიჭირეს ქურდები, რომელნიც აღმოჩნდნენ ტფილისის მოქალაქენი ილია ძაგველოვი და ალექსანდრე სარქისოვი. პირველი ჯარის-კაცად ჩარიცხული ყოფილა, მიუღიათ კიდეც, მაგრამ გაპარულა და დღევანდლამდე იმალებოდა თურმე. დამნაშავენი პასუხის-გებაში მისცეს.

◆ 31 დეკემბერს, ღამით, ალექსანდრე ნეველის ტაძრის ეზოში შეპარულან ვიღაც ბოროტ-განმზრახველნი, ჩამოუგლეჯიათ საფულე ყუთი, რომელიც ეკკლესიაში შესავალ კარებთან ყოფილა ჩამოკიდებული, და წაუღიათ.

◆ როგორც გვქონდა აღნიშნული, პოლიციის მე-7 ნაწილში გადაიწვა მიტყლის სარეცხი ქარხანა მანდენოვისა. ეს ქარხანა მანდენოვს დაზღვეული ჰქონია „როსიის“ საზოგადოებაში 22 980 მანეთად.

◆ 30 დეკემბერს, შუა ბაზარში ჯიბგირებს ამოუცლიათ ჯიბიდან პოლიციის მე-10 ნაწილში მცხოვრებ კ. ქიტკოვის ქალისათვის—15 მანეთი, პოლიციის მე-7 ნაწილში მცხოვრებ ელისაბედ სანაგოვისათვის—3 მან. და სიდონია რედკინისათვის—26 მან.

რუსეთის ქრონიკა

◆ 27 დეკემბერს სალიტერატურო ფონდმა იდღესასწაულა 25 წლის შესრულება პოეტის ნეკრასოვის გარდაცვალებიდან. დაესწრო დიდ-ძალი ხალხი. იყვნენ, სხვათა შორის, ნ. კ. მიხაილოვსკი, პ. ი. ვეინბერგი, ა. ა. პოტეხინი, ბარანცევიჩი, ტაგანცევი და სხვანი. დიდის ალტაცებით მიეგება საზოგადოება პოეტის ძმას და ორ ძმის-წულს. წარმოსთქვეს სიტყვები, წაიკითხეს ნეკრასოვის ლექსები და სხვა.

◆ მინისტრის ამხანაგად ნამყოფი ვ. ი. კოვალევსკი ერთ-ერთ ბანკს პეტერბურგში თავის დირექტორად მიუწვევია. ბანკს წელიწადში ჯამაგირად 40,000 მანეთი შეუძლევია, მაგრამ კოვალევსკის უარი უთქვამს.

◆ დეპეშიდან მკითხველებმა უკვე იციან, რომ გარდაიცვალა რუსთა მწერალი ა. ი. სალოვი. განსვენებული თავად-აზნაურთა წრიდან იყო, კარგად იცნობდა ამ წრეს და თავის მოთხრობებისა და რომანების შინაარსსაც იქიდან იღებდა. დაიბადა 1834 წელს.

სასოფლო სამეურნეო საჭიროებათა ტფილისის საგუბერნიო კომიტეტში

30 დეკემბერს, ტფილისის გუბერნატორის ბ-ნ სვეჩინის თავმჯდომარეობით სხდომა ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა საგუბერნიო კომიტეტს. მთელი სხდომა მოანდომეს კომიტეტის მეოთხე სექციის მოხსენების განხილვას: ჩვენში მეღვინე-მევენახეობის საქმის გაუმჯობესების შესახებ. სექცია, მრავალ საყურადღებო ცნობების შეკრება-გადათვალიერებისა და შესწავლის შემდეგ, იმ მოსაზრებაზე შეჩერებულა, რომ კავკასიის მცხოვრებთათვის მეურნეობის ამ დარგს დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, მეღვინეობა მევენახეობა შეფერხდა, განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიაში, ფილოქსერისა და ვაზის სხვა ავადმყოფობის გაჩენით და აგრეთვე უკანასკნელ ხანებში უკან უკან მიდის კახური ღვინის დაყენებისა და ვენახების მოვლა-მოშენების საქმე. სექციას თავის ვრცელს მოხსენებაში გამოუთქვამს სურვილი: 1) დაარსებულ იქმნეს საშუალო და დაბალი სამეურნეო სასწავლებლები მეღვინეობა-მევენახეობისა და გაძლიერებულ იქმნეს მოქმედება ინსტრუქტორებისა, რომელთაც მეტი ძალა იხმარონ ხალხში რაციონალურად ვენახის დამუშავების შესახებ ცნობების გასავრცელებლად; 2) დაარსებულ იქმნეს კავკასიაში სახაზინო მეღვინეობის საცდელი სადგურები და, სხვათა შორის, ერთი დაარსდეს ტფილისის გუბერნიისათვის. ამ უკანასკნელ ხანებში აღიძრა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ შორაპნის მაზრის საქარის ამერიკული ვაზის სანერგე გადაკეთებულ იქმნეს ღვინის მკეთებელ სახელმწიფო სადგურად. ამის-და მიხედვით სასურველია აღიძრეს შუამდგომლობა საქარის სანერგეს სადგურად გადაკეთების შესახებ ისე, რომ მისი განყოფილება დაარსებულ იქმნეს ტფილისის გუბერნიაშიაც; 4) შუამდგომლობა იქმნეს აღძრული უმაღლეს მთავრობასთან, რომ კავკასიის იმ ადგილებში, სადაც არ არის შემოღებული მაგარ სასმელების გაყიდვის მონოპოლია, არ იქნეს გავრცელებული ამ მონოპოლიის კანონი; 4) შუამდგომლობა იქმნეს აგრეთვე აღძრული, რომ კავკასიის იმ ადგილებში, სადაც მაგარ სასმელების მონოპოლია უკვე შემოღებულია, გაუქმებულ იქმნეს ის საშუალებანი, რომელთაგან დიდად შეფერხებულნი არიან მეღვინე მევენახენი და 5) აღძრულ იქმნეს შუამდგომლობა იმ კანონის გამოსაცემად, რომელსაც საგნად ექმნება ებრძოლოს ღვინის ფალსიფიკაციას.

საგუბერნიო კომიტეტს კარგა ხანს მოლაპარაკება ჰქონდა მეღვინე-მევენახეობის დაბალ და საშუალო სასწავლებლების დაარსებისა და აგრეთვე ინსტრუქტორთა დასის გაძლიერების შესახებ. კომიტეტმა სასწავლებლების დაარსების შესახებ მოიწონა სექციის მოსაზრება და გადასწყვიტა აღიძრეს შუამდგომლობა სექციის გადაწყვეტილების თანახმად; ამასთანავე ინსტრუქტორები უნდა იქმნენ განწესებული პატარ-პატარა რაიონებში ისე, რომ უფრო ნაყოფიერად ასწრობდნენ მუშაობას მეურნეთა სასარგებლოდ.

რაც შეეხება მევენახეობის საცდელ სადგურების დაარსებას, კომიტეტმა გამოსთქვა აღიძრას შუამდგომლობა სექციის მოსაზრების თანახმად, ხოლო საკითხი საქარის სანერგეს მეღვინეობის სადგურად გადაკეთებისა და მის განყოფილების ტფილისის გუბერნიაში დაარსების შესახებ გადაიდვას იმ დრომდე, ვიდრე შეუდგებოდნენ პირველ სექციის ამ საქმის შესახებ ვრცელ უკვე შემუშავებულ მოხსენების განხილვას.

კომიტეტმა მიიღო აგრეთვე წინადადება სექციისა იმის შესახებ, რომ იშუამდგომლონ მთავრობასთან არ იქნეს შემოღებული ღვინის ვაჭრობის მონოპოლია, ხოლო ტფილისის საგუბერნიო კომიტეტმა შუამდგომლობა უნდა აღძრას მარტო ტფილისის გუბერნიის შესახებ.

ამასთანავე კომიტეტმა გადასწყვიტა აღძრან შემდეგი შუამდგომლობა: თუ ვინიცობაა კავკასიაში შემოღებული იქნება მაგარ სასმელების ვაჭრობის მონოპოლია, საქმე ისე მოეწყოს, რომ ღვინით მოვაჭრეთათვის შემაფერხებელი გარემოებანი არ დაწესდეს. დასასრულ კომიტეტმა მიიღო სექციის გადაწყვეტილება ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ კანონის გამოცემის საჭიროების შესახებ. შემდეგი სხდომა კომიტეტს ჰქონდა გუშინ, 2 იანვარს.

წერილი რედაქციის მიმართ

I

ბ. რედაქტორო! 29 დეკემბერს წიგნაკზე დრამატიული საზოგადოების ანგარიში თქვენს მატიგცემულ გაზეთში; ანგარიშში შეცდომა შეპარულა. 27 დეკემბერს დრამატ. საზოგადოების საზოგადო კრებაზე მე მადლობა განვუცხადე ჩვენს მსახიობთ და გამგეობას სექციის მონდობილობით; მაშინ არც ხოსიტაშვილის გვარი მიხსენებია და არც იმის ნადამსახურევს შევხებივარ. მართალი კი უნდა მოგახსენოთ, ამ ჟამად ისე ვლაპარაკობ არა როგორც სექციის წევრი, არამედ როგორც მარიამ დემურიასი, რომ ხოსიტაშვილისაგან 27 დეკემბერს წარმოთქმულს სიტყვებს ჩვენ მსახიობთა შესახებ, არ თანავუგრძნობ და უხერხულად მიმაჩნია.

მარიამ დემურიასი

II

ბ-ნო რედაქტორო! ამ ჟამად 23 კაცამდე ვართ ქართველობა ჟენევაში. ჩვენი მდგომარეობა არც ერთის მხრით არ არის სახარბიელო. ჩვენს ქვეყანას სრულიად მოწყვეტილნი ვართ, არა გვაქვს აქამდის არც ქართული წიგნები, არც ქართული ჟურნალ-გაზეთობა. გარდა ამისა არც ქონებრივად ვართ კარგ მდგომარეობაში.

ეს რამდენიმე კვირაა, განვიზრახეთ დაგვეარსებინა საურთიერთო დახმარებელი კასსა და ქართული წიგნთ-საცავი. მაგრამ ჯიბე-ცარიელ ხალხის მიერ დაარსებული კასსა ქართულ სენისაგან ვერ გაგვკურნავს. ახლად დაარსებულ წიგნთსაცავში კი სამი წიგნიც არ მოიპოვება. ისევ და ისევ საზოგადოებას უნდა მივმართოთ, რომ დახმარება აღმოგვიჩინოს. ვთხოვთ ყველას, საზოგადოების ყველა წევრს, შეძლებისა დაგვარი დახმარება აღმოუჩინოს ფულით თუ წიგნებით ჩვენს კასსასა და ბიბლიოთეკას. დიდი დახმარება იქნება ჩვენთვის აგრეთვე, თუ ჩვენის ჟურნალ-გაზეთების გამომცემელნი უფასოდ გამოგვიგზავნიან თავიანთ გამოცემებს.

ამხანაგების მონდობილობით

ა. საყვარელიძე

ადრესი: M-r A. Sakwarelidzé 9, route Cacoline. Qenève. Швейцарія P. S. ვთხოვთ სხვა რედაქციებსაც ზემო მოყვანილი განცხადება გადაბეჭდონ.

ა. ს.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

31 დეკემბერი

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი მოხსენება ფინანსთა მინისტრისა 1903 წლისათვის: სახელმწიფო **შემოსავალი**: ჩვეულებრივი 1.897.032.678, განსაკუთრებითი $2^1/_2$ მილიონი, სულ 1.899.532.678, სახელმწიფო ხაზინაში თავისუფალი ნაღდი 172 134.794, სულ 2 071.667.472. სახელმწიფო **ხარჯები**: ჩვეულებრივი 1.880.405.229, განსაკუთრებითი 191.262.243, სულ 2.071.667.472. შემოსავალი აღემატება ხარჯებს 16,6 მილიონით. 1902 წელთან შედარებით შემოსავალი 96,2 მილიონით მეტია, ხარჯები 104,5 მილიონით. წლევანდელი შემოსავლის მეტი ნაანგარიშევია ხაზინის მიერ სასმელების ვაჭრობიდან—36,9 მილიონზე მეტი, სახელმწიფო რკინის გზებიდან 16,7 მილიონი, სატამოჟნო შემოსავლიდან 10,5 მილიონი, შაქრისა—9 მილიონი; რადგან 1902 წელში ჰქონებულის შემოსავალი კარგი იყო, გამოსაყიდი გადასახადები წინა წელზე მეტია ნაანგარიშევი 2,7 მილიონი, ფოსტა-ტელეგრაფისა 2,2 მილიონი, ნავთისა—2 მილიონი, თამბაქოსი—1,9 მილ., ღერბისა, სასამართლოებისა და საკანცელარიო გადასახადები—4,2 მილ. და სხვა. სამხედრო შემოსავალიც 7,7 მილიონით მეტია ნაანგარიშევი ჩინეთის მთავრობისაგან მისაღები. შემოსავალი ნაკლებადაა ნაანგარიშევი 1,8 მილიონით იმ კერძო რკინის გზებიდან, რომელთა შემოსავალში ხაზინასა აქვს მონაწილეობა, 1,7 მილ. ტყეების შემოსავალი 1,4 მილიონი სამთო შემოსავლისა და სხვა. ჩვეულებრივი ხარჯები 1902 წელს აღემატება 104,5 მილიონით; ამ ანგარიშში 22,9 მილიონი გზათა სამინისტროს ეკუთვნის, 10 მილიონამდე ფინანსთა სამინისტროს კერძო რკინის გზათა საზოგადოებების დასახმარებლად, 1 მილიონამდე—თავად აზნაურთა ურთიერთ შორის დამხმარე კასის დასახმარებლად, 2 მილიონი—სახელმწიფო სადგილ-მამულო ბანკებს, 1 მილიონი—გემების საზოგადოებათა; სამხედრო სამინისტროს 7,3 მილიონით მეტი მიეცა, ზღვათა სამინისტრო—17,3 მილ., შინაგან საქმეთა სამინისტროს—6,5 მილიონით მეტი; მიწათ-მოქმედების სამინისტროს 5,8 მილიონით, ამ ანგარიშში საუკეთესო იარაღი და თესლეუ-

ლობაც უნდა შეუძინონ ხალხს, ტყეებისა და არხების საქმეც გააუმჯობესონ და ჰაობებიც ამოაშრონ; სახალხო განათლების სამინისტროს—2,6 მილიონით მეტი, იუსტიციის სამინისტროს 2 მილიონი, სახელმწიფო კრედიტის სისტემისათვის—4,5 მილიონი. განსაკუთრებულ ხარჯებიდან 166 მილიონი სახელმწიფო რკინის გზების ასაგებადაა დანიშნული, აქედან 20,9 მილიონი ბაიკალის ტბის გარშემო გზაზე და ციმბირის სხვა გზებზე, 32 მილ. პეტერბურგ-ტაშკენტისაზე, 20—ეკატერინისკის მეორე გზაზე, 35—ბოლოგოე-სედლეცისაზე, 33—პეტერბურგ-ვიატსკისაზე, 2—პეტ.-პეტროზავოდსკისაზე, 10—მოსკოვის გარშემო გზაზე და 14 მილ. მეტი სხვა გზებზე და სხვა. 1901 და 1902 წლების ხარჯები გასტუმრებულია და ხაზინას თავისუფალი ფული დარჩა 1903 წლის 1-ლ იანვრისათვის 50,7 მილიონი, ამას რომ პარიზის სესხის 148,5 მილიონი მივუმატოთ, სულ თავისუფალი თანხა შეადგენს 199 მილიონს. ამ თანხით ადვილად დაიფარება 272,2 მილიონი, რომელიც განსაკუთრებით ხარჯების შესავსებადაა საჭირო.

სახელმწიფოს ხარჯთ-აღრიცხვა 1903 წლისათვის კარგადაა საბოლოოდ ნაანგარიშევი: ჩვეულებრივი შემოსავალი აღემატება ჩვეულებრივ ხარჯებს, ზედ მეტით დაიფარება ნაწილი მომავალის განსაკუთრებითის ხარჯებისა. დიდის ხნის შემდეგ, ამ წელში პირველად იჩინა თავი სახალხო მეურნეობის უკეთესობამ; ჯერ ერთი პირ-ნახულის მოსავალი 1902 წელში კარგი იყო, რადგან აიღეს 4,115 მილიონი ფუთი ან კაცის თავზე რომ ვიანგარიშოთ, 39,9 ფუთი; მეორე—სახალხოთა შორისო ფულის ბაზარი 1902 წელს შესამჩნევად კარგი იყო. რუსეთის ფულის ბაზარში ფული თავისუფლად დატრიალდა; კასაში და სახელმწიფო ბანკში მიმდინარე ანგარიშით 1-ლ ივლისს ირიცხებოდა 83,6 მილიონი, 1-ლ ნოემბერს—74,5 მილიონი. ბანკებში ვექსილების განაღდება 1-ლ ნოემბრისათვის ავიდა 563 მილიონამდე; საკომერციო ბანკებშიაც იმატა შესანახად შეტანილმა ფულმა, რომლის რიცხვი 1-ლ ნოემბრისათვის ავიდა 672 მილიონამდე. პროცენტიან ქაღალდების მოთხოვნილებამაც იმატა, ამიტომ ფასებიც აიწია ამ ქაღალდებისა; მესამე—რუსეთიდან გაზიდული საქონლის ფასი მეტი იყო შემოტანილზე 300 მილიონით; უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში ამდენზე არ ასულა ეს ფული; მეოთხე—შენახული ოქრო ავიდა 100 მილიონზე მეტამდე.

თუმცა 1902 წელში ხალხის მეურნეობას უკეთესობა დაეტყო, მაგრამ ფინანსთა მინისტრი მაინც აღნიშნავს ზოგიერთ არა სასურველ მოვლენას ამ მეურნეობაში წარსულ წელს: არ შეიძლება უკეთესობის აღნიშვნა მრეწველობაში, პირ-იქ-ით, გაჭირვებამ კიდეც იმატა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, წარსულმა წელმა დაგვიმტკიცა, რომ შინა წარმოებამ რაც წინა წლებში შეიძინა—საფუძვლიანია; მაგალითად ჩაითვლება რკინის წარმოება და მრეწველობა, რომელთაც 1901 და 1902 წლებში იკლეს, მაგრამ ახლა თუჯის წარმოებამ გაცილებით იმატა 1897 და 1898 წლებზე; ამის მიუხედავად ეს დიდად შესანიშნავი მრეწველობა გაჭირვებაშია. რკინის გზ·ს წარმოებამ ძალიან წადგა ფეხი, თუმცა ორი უკანასკნელი წელიწადი გაჭირვებისა იყო. ამასვე ვხედავთ მრეწველობის სხვა დარგებში. ზოგიერთ ნაწარმოების ფასებმა ძალიან დაიწია. დიდი ცვლილება მოხდა სამეტალურგო მრეწველობაში: რამდენიმე წლის წინად წარმოება ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას, საზღვარ-გარეთიდან თან-და-თან უფრო მეტი ლითონი შემოდიოდა, და ფასი იწეოდა; დღეს შინაურმა წარმოებამ სამეტალურგო საქმეში გაუსწრო მოთხოვნილებას და გარედან შემოტანილმა საქონელმაც იკლო. მწარმოებელთა სიტყვით, თუჯის ფასმა იმდენად იკლო, რომ იმისი წარმოება საზარალოა. მიუხედავად ამისა ეხლანდელ გაჭირვებას გულ-დამშვიდებულნი უნდა დავუხვდეთ; ეს გაჭირვება ხანგრძლივი არ იქნება და მალე მოისპობა. იმ ნაწარმოებთა წარმოება, რომლის გასაღებაც გაჭირვებულია, რამდენადმე შევიწროვდება, მაგრამ ქარხნების უმრავლესობა მოეწყობა, საკმაოდ სასარგებლო საქმეს უფრო ხელ-მისაწვდომი ფასები დაედება და განვითარდება იმ ნაწარმოების მზადება, რომელსაც ხალხი, უმრავლესობა ხმარობს. საჭიროება იძულებულ ჰყოფთ მოაწყონ საქონლის რიგზე გასაღება; იაფ-ფასებს მოჰყვება მოთხოვნილების გადიდება და დღევანდელ გაჭირვებულ სამეტალურგო საქმეში მდგომარეობაც ბოლო მოეღება.

1 იანვარი

პეტერბურგი. 31 დეკემბერს პეტერბურგში მობრძანდნენ ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალი იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული უავგუსტოესის ასულებითურთ, დედოფალი იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული და ხელმწიფე მემკვიდრე.

ძველ მწერლობის საიმპერატორო საზოგადოებამ იდღესასწაულა 25 წლის არსებობა. საზოგადოება მისმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ თავის მფარველობის ქვეშ მიიღო.—31 დეკემბერს საზღვაო სამინისტრომ იდღესასწაულა 100 წლის არსებობა. —დამტკიცებულ იქმნენ: სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ—დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე, თავმჯდომარეებად: კანონთა დეპარტამენტისა— ფრიში, სამოქალაქო და სასულიერო დეპარტამენტისა—გერარდი, სახელმწიფო ეკონომიისა—გრაფ სოლსკი, მრეწველობისა, მეცნიერებისა და ვაჭრობისა—ჩიხაჩოვი.—დანიშნულ იქმნენ: სენატორი ფუკსი და ფოსტათა და ტელეგრაფთა მთავარ გამგეობის უფროსი პეტროვი—სახელმწიფო საბჭოს წევრებად. ბარონი ნოლდე-მინისტრთა კომიტეტის საქმეების გამგედ; მიწათმოქმედების მინისტრი ერმოლოვი—სტატს-სეკრეტრად, ამასთან წინანდელ თანამდებობაზედ დარჩება.

მადრიდი. დაასაფლავეს დიდის ამბით საგასტა. დაესწრნენ მეფე და მოხელენი.

ბერლინი. განახლდა კრება რეიხსტაგისა, რომელიც საბაჟო ტარიფის განხილვას შეუდგა.

ფეცი. სულთანს აზრადა ჰქონდა ტახტის მაძიებლის წინააღმდეგ გასულიყო. სიმართლეს მოკლებულია ის ამბავი, რომ უცხოქვეყნის ელჩები წასულიყვნენ აქედან. ამბობენ, ტახტის მაძიებელი სატახტო ქალაქიდან 30—40 მილის მანძილზეაო.

პარიზი. პალატამ აარჩია პრეზიდენტად ბურჟუა, ხოლო ვიცე-პრეზიდენტად: ეტიენ ლოკრუა, ვილლენი და ჟორესი.

ფეცი. იმ ინგლისელებმა, რომელნიც მალკინის ამალას არ ეკუთვნიან, ქალაქს თავი მიანებეს და ზღვისაკენ წავიდნენ.

კელნი. „კელნის გაზეთი“ გამოსთქვამს მწუხარებას „ტაიმსის“ და „დეილი ტელეგრაფის“ მიერ გავრცელებულ ხმების შესახებ, რომ ვითომც გერმანიის ელჩი ვაშინგტონში გოლლებენი გადაიყვანეს თავის ადგილიდან, რადგან არ შეასრულა იმპერატორის მინდობილობა, რომ ამერიკაში გამოეწვია ინგლისის წინააღმდეგი მოძრაობა.

ბერლინი. გაიხსნა პრუსიის ლანდტაგი. სეფე-სიტყვა აღნიშნავს ფინანსების ცუდს მდგომარეობას. 1901 წლის ანგარიშში დამთავრდა 37. 5000.000 დეფიციტით. უკეთესი არ იქნება 1902 წ. ანგარიშიც. სახაზინო რკინის გზების შემოსავალი წინდაწინ შედგენილ ხარჯთ აღრიცხვაზე გაცილებით ნაკლებია- 1903 წ. ბიუჯეტმა დიდათ უნდა ისარგებლოს სახელმწიფო კრედიტით, რადგან ძლიერ გაჭირვებულ მდგომარეობაშია სასოფლო მეურნეობა, ვაჭრობა და მრეწველობა.

ხარბინი. ხუნხუზებთან უკანასკნელ შეტაკების დროს მოკლულ იქმნა საზღვრების დარაჯთა პორუჩიკი ჩიჟევიჩი.

ბახმუტი. იუზოვკაში ბოროტ განმზრახველნი თავს დაესხნენ სახელმწიფო ფოსტას და წაიღეს უბრალო წერილებიანი ტომარა. ტომარა მეორე დღეს იპოვნეს.

კონსტანტინეპოლი. უსკიუბის ვალით ნამყოფი რეშადი, როგორც ამბობენ, ინიშნება ტრიპოლისის ვალით.

ვენა. ნიშის აღებიდან ოცდა ხუთის წლის შესრულების გამო ხელმწიფე იმპერატორმა ცარსკოე სელოდან გაუგზავნა მეფე ალექსანდრეს შემდეგი დეპეშა: **„ღირსშესანიშნავ დღეს ნიშის აღებიდან ოცდა ხუთი წლის შესრულებისა გამო, რომელმაც დიდება მოუხვეჭა სერბიის ერს წარსულ რუსეთ-ოსმალეთის ომში, მე განსაკუთრებულის სიამოვნებით ვულოცავ თქვენს უდიდებულესობას დღესასწაულს და ვუსურვებ სერბიის მხედრობას აღყვავებას, რათა იგი ემსახუროს რუსეთის მონათესავე სერბიის ერის განვითარების საქმეს“.** ამის პასუხად მეფე ალექსანდრემ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა იმპერატორს: „უგულითადეს მადლობას გიძღვნით იმ გრძნობისათვის, რომელნიც თქვენმა უდიდებულესობამ გამოგვიცხადა ნიშის აღებიდან 25 წლის შესრულების გამო. ვესწრაფები გამოგიცხადოთ მადლობა იმ სურვილისათვის, რომელიც გამოუცხადეთ ჩვენს საყვარელ მხედრობას და ჩემს ერს, და ამასთანავე გთხოვთ მიიღოთ, რომ მეც მხურვალედ მსურს თქვენის უდიდებულესობის ბედნიერი ცხოვრება, თქვენის ჯარის დიდება და თქვენი ერის კეთილდღეობა“.

კონსტანტინეპოლი. სულთანმა ბრძანება გასცა მოხელეთ და სამხედრო პირთ თავთავის დროზე აძლიონ ჯამაგირები მაკედონიის პროვინციის შემოსავლიდან და ეს შემოსავალი ჯამაგირების დარიგებამდე სხვას არას მოჰხმარდესო.

ფეცი გაზ. „გლობი“ იტყობინება, რომ სულთანის ჯარები შეებრძოლნენ პრეტენდენტის რაზმებს. გაზეთი „ემპარსიალ“ იტყობინება, რომ ფეცის მცხოვრებნი აჯანყდნენ სულთანის წინააღმდეგ. ევროპიელებს ეშინიათ, რომ მათ თავს დაესხმიან. სულთანის წარმომადგენელი ტანჟერში მოჰამედ ტორესი აგროვებს საკლავს სულთანის ჯარისათვის.

პეტერბურგი. 31 დეკემბერი. ბირჟა: ტფილისის სადგილ-მამულო ბანკის ხუთ პროცენტიანი გირავნობის ფურცლები—$89^{1}/_{2}$ გაყიდ. $4^{1}/_{2}$ პროცენტიანი—$84^{1}/_{2}$ მყიდვ. ქუთაისის სადგ. მამულო ბანკის $6^{0}/_{0}$ ფურცლები—100 მყიდვ. ხუთ პროცენტიანი—$89^{1}/_{2}$ მყიდვ.

2 იანვარი

პეტერბურგი. უმაღლესი რესკრიპტი ფინანსთა მინისტრის სახელობაზე: „სერგეი იულიევიჩ! ათი წლის წინად ღვთივ განსვენებულმა ჩემმა მშობლებმა მოგიწოდათ თქვენ ფინანსთა სამინისტროს მმართველად. მიუხედავად იმისა, რომ 1881 წლის მოუსავლობას მძიმე შედეგები მოჰყვა, თქვენ მტკიცედ დარწმუნებული იყავით რუსეთის სახელმწიფოს ეკონომიურ ძალაში და ბეჯითად მიჰყავით ხელი რუსეთის ფინანსების გაწესრიგებას, რომელიც თქვენმა წინა მოადგილემ დაიწყო, თქვენ ნუგეშობდით იმით რომ გაამართლეთ ნდობა და მადლობაც დაიმსახურეთ იმპერატორის ალექსანდრე მე-III. ამ ჟამად, ფინანსების ათის წლის მმართველობის შესრულების შემდეგ, მე სიამოვნებით გიცხადებთ მადლობას ყოველივე იმისათვის, რითაც თქვენ ამ უკანასკნელ რვა წლის განმავლობაში ჩემი ნდობაც გაამართლეთ. იმავე რწმუნებით რუსის ხალხის ძალებში, იმავე ერთგულებით ტახტისადმი თქვენ არა თუ შემიმსუბუქეთ ტვირთი უმთავრესს ჩემ საზრუნავისა სახელმწიფოს გაძლიერებასა, დაცვაში და ღვთის მიერ ჩემდამო რწმუნებულ სახელმწიფოს კეთილ დღეობაში, არამედ დამოუკიდებლობისათვის გამოაღვიძეთ ბევრი დარგი და საუკეთესო ძალები მშრომელ ხალხისა. განამტკიცეთ დამოუკიდებლობა და შეურყევლობა ფულის წარმოებისა და ხაზინის სალარიც გააძლიერეთ; რითაც წლითი წლობამდე დაუბრკოლებლივ ჰფარავდით თან-და-თან განდიდებულ ხარჯებს. აგრეთვე თქვენის რთულ სამსახურის გარეშეც, ჩემდა სრულ სასიამოვნოდ, თქვენ შეასრულეთ ჩემგან მონდობილი საქმე, იმით რომ სახელმწიფო ეკონომიას ასწავლიდით ჩემს მემკვიდრეს საყვარელს ძმას ჩემსას დიდს მთავარს მიხეილ ალექსანდრეს ძეს. ვიმედოვნებ, შემდეგშიაც განაგრძობთ სახელმწიფოსა და ჩემდამი სასარგებლო სამსახურს თქვენდამი რწმუნებულ სამინისტროს სათავეში. დავშთები თქვენდამი უცვლელად კეთილ მოწყალე“. ნამდვილზე მისის იმპერატორებით უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია: **„და მადლიერი ნიკოლოზ“.**

ასხაბადი. 3 დეკემბერს მიწის ძვრისაგან დანგრეული უძრავი ქონება კერძო კაცთა ქალაქის იმ ნაწილში, სადაც რუსები ცხოვრობდნენ, ნაანგარიშევია 256.220 მანეთისა, მოძრავი ქონება—427.307 მან. „წითელმა ჯვარმა“ კრასნოვოდსკაში ხე-ტყის მასალა იყიდა და ანდიჟანს გაჰგზავნა.

ბერლინი. კრონპრინცი თავისის ამალით ღამის 11 საათს გავიდა პეტერბურგისაკენ. იმპერატორმა ვაგონში მიაცილა პრინცი. ვოგზალზე რუსის ელჩი და საელჩოს წევრნიც მოვიდნენ.

—რეიხსტაგმა განიხილა სატარიფო კომისიის დადგენილება, რომლის ძალით შეერთებულ სახელმწიფოთ რჩევა ეძლევათ მოიფიქრონ, იქმნება შესაძლებელი გახდეს დაუწმენდელსა და დაწმენდილს კეროსინზე ბაჟის დადებით ადგილობრივი წარმოება კეროსინის დასაწმენდათ. კომისიის დადგენილება 152 ხმის უმეტესობით მიღებულ იქმნა 70 ხმის წინააღმდეგ.

იოჰანესბურგი. ჩემბერლენი და მადაროების უმთავრესნი გამგენი შეთანხმდნენ ფინანსების შესახებ. ტრანსვაალს შეხვდება 30 მილიონი გირვანქა სამხედრო ხარჯების გადასახადთა ნაწილისა.

პარიზი. ავადმყოფობის გამო დელკასემ ელჩების მიღება შაბათისათვის გადასდო.

კარაკასი. 24 დეკემბერს 100 აჯანყებულთაგანი თავს დაეცა კუმაკუს, რომელსაც მთავრობის 500 ჯარის კაცი იცავდა. შვიდი საათის ბრძოლის შემდეგ ინსურგენტებმა დაიხიეს. სანოვაგე აკლიათ: ფქვილი 6 დღისა და ხორცი 10 დღის საყოფი-ღა აქვთ.

ვენა. ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ შავი ჭირის გათავებისა გამო, ოდესიდან მომავალ გემებზე კარანტინი აიხსნა.

კონსტანტინეპოლი. ფერიდ-ფაშა დიდ ვეზირად დაინიშნა.

პეტერბურგი. პირველ სესხის მომგებიან ბილეთების მე-76 ტირაჟი იყო. უმთავრესი მოგება ერგო შემდეგ ბილეთებს: 200,000 მ.—18468/18; 75,000 მ.—3068/8; 40,000 მ.—14693/22; 25,000 მან.—6283/11; 10,000 მ.—13344/22. 2105/21, 14386/43; 8,000 მანეთი—19526/11, 18901/49, 18992/1, 15981/16, 10452/44; 5,000 მ.—13940/31, 19480/33, 18972/45, 4017/37, 180/9, 5687/45; 1,000 მ.—9212/17, 6434/14, 1419/8, 7227/42, 3011/21, 7999/12, 4980/49, 10728/19, 99/22, 11448/38, 16014/32, 8813/40, 5785/49, 7717/10, 6623/6, 8528/23, 6867/1, 10799/39, 1089/19, 4496/12.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 7/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპანამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს.21 წ.)

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო №33 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევს 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.).;, სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს) 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ.(4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევს 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.)! 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.)

შორაპანისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევს 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 წ. 28 წ.).

Дозв. ценз. Тифлисъ. 2 января, 1903 г. რედაქტორის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).